

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საანგარიშო პალატას, ბელარუსიის რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტს, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და უკრაინის საანგარიშო პალატას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საანგარიშო პალატა, ბელარუსიის რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური და უკრაინის საანგარიშო პალატა (შემდგომში – მხარეებად წოდებულნი), ურთიერთპატივისცემის, ნდობისა და თანამშრომლობის ღირებულებების საფუძველზე, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI), უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI) და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აზიური ორგანიზაციის (ASOSAI) პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად, მრავალმხრივი რეგიონული თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით, გამოხატავენ რა საერთო სურვილს, განავითარონ საჯარო გარე აუდიტის პრაქტიკა, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები გამოხატავენ მზადყოფნას როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებისთვის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI), უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციისა (EUROSAI) და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აზიური ორგანიზაციის (ASOSAI), ასევე მათი სამუშაო ჯგუფებისა და კომიტეტების ფორმატში.

მუხლი 2

უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის მიზნების შესაბამისად, გამოცდილების გაზიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად, პირველ მუხლში გათვალისწინებული პირობების მიხედვით, მხარეები ითანამშრომლებენ შემდეგი მიმართულებებით:

- გამოცდილების გაზიარება საჯარო გარე აუდიტის (კონტროლი) მეთოდოლოგიისა და სტანდარტიზაციის საკითხებში, ადგილზე გაცნობის ვიზიტების ორგანიზებით;
- თანამშრომლების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით კონფერენციების, ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება;
- ერთობლივი პარალელური აუდიტების, ექსპერტ-ანალიტიკური აქტივობებისა და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება;
- ინფორმაციისა და მასალების გაცვლა მხარეთა აქტივობებზე, მათ შორის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების გაზიარება გარე საჯარო ფინანსური აუდიტის (კონტროლი) სფეროში და
- გამოცდილების გაზიარება თავიანთი კომპეტენციების სხვადასხვა სფეროებში.

მუხლი 3

ამ მემორანდუმის ფარგლებში ინფორმაციისა და მასალების გაცვლისას თითოეული მხარე იხელმძღვანელებს თავისი ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო ინფორმაციის გაცვლას, სახელმწიფო და სხვა საიდუმლო ინფორმაციის დაცვას. მხარეები, ერთობლივი თანხმობით, გაცვლიან ინფორმაციას ერთობლივი და პარალელური აუდიტებისა და ექსპერტ-ანალიტიკური აქტივობების შედეგების თაობაზე. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისას თითოეული მხარე იხელმძღვანელებს თავისი ეროვნული კანონმდებლობით. მასალების გამოქვეყნების შეზღუდვები შესაძლებელია დაწესდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ბელარუსიის რესპუბლიკის, საქართველოსა და უკრაინის კანონმდებლობებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე მხარეთა წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ სპეციალურ შემთხვევებში. მემორანდუმის ფარგლებში გაზიარებული მასალები შესაძლებელია გამოქვეყნდეს მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე. დოკუმენტების გაზიარება მათთვის, ვინც არ წარმოადგენს მემორანდუმის მხარეს, შესაძლებელია მხოლოდ იმ მხარის წერილობითი თანხმობით, რომლის მიერაც მოწოდებულ იქნა დოკუმენტი.

მუხლი 4

ამ მემორანდუმის ფარგლებში ღონისძიებების განხორციელებისას თითოეული მხარე ფარავს საკუთარ ხარჯებს, თუ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ჩართული მხარეები წინასწარ სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

მუხლი 5

საჭიროების შემთხვევაში, მხარეები სამუშაო ფორმატში გამართავენ კონსულტაციებს ამ მემორანდუმის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ მიზნით მხარეები ერთმანეთს აწვდიან პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების საკონტაქტო მონაცემებს. მემორანდუმის ფარგლებში წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის ენას წარმოადგენს ინგლისური.

მუხლი 6

ამ მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს ყველა მხარის წერილობითი თანხმობით, რომლის ძალაში შესვლის თარიღი მათ მიერ განისაზღვრება. ნებისმიერი დავა ამ მემორანდუმის განმარტებასთან ან მის გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

მუხლი 7

1. ეს მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე.
2. თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ამ მემორანდუმის ხელმოწერისთანავე, ნებისმიერ მუხლზე გააკეთოს დათქმა.
3. ეს მემორანდუმი დადებულია განუსაზღვრელი ვადით.
4. ეს მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს თითოეული მხარის მიერ სხვა მხარეთა 30 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
5. მხარის მიერ მემორანდუმი არ შეიძლება შეწყდეს ერთობლივი ან პარალელური აუდიტის, ექსპერტ-ანალიტიკური აქტივობების განხორციელების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა მხარე ერთობლივად გადაწყვეტს, შეწყვიტოს ასეთი აქტივობები.
6. ეს მემორანდუმი მომზადებულია ოთხ ეგზემპლარად, თითოეული აზერბაიჯანულ, ბელარუსულ, ქართულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე და ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტიურია. ამ მემორანდუმის განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

2019 წლის 11 ივლისი, ქალაქი თბილისი, საქართველო

ვუგარ გულმამადოვი (ხელმოწერილია დათქმით)

აზერბაიჯანის რესპუბლიკის
საანგარიშო პალატის თავმჯდომარე

ალექსანდრე კურლიპო

ბელორუსიის რესპუბლიკის
სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ერეკლე მექვაბიშვილი

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
გენერალური აუდიტორი

ვალერი პაწკანი

უკრაინის საანგარიშო პალატის თავმჯდომარე

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საანგარიშო პალატის დათქმა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საანგარიშო პალატის მიერ გაკეთებული წინამდებარე დათქმა, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის საანგარიშო პალატას, ბელორუსიის რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტს, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და უკრაინის საანგარიშო პალატას შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელი დანართია, ითვალისწინებს შემდეგს:

ამ მემორანდუმის ფარგლებში განსაზღვრულ ერთობლივ აქტივობებში მონაწილე დამატებით მხარედ სომხეთის აუდიტის პალატის ჩართვის შემთხვევაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საანგარიშო პალატა აცხადებს, რომ აღნიშნული მემორანდუმის დებულებები არ გამოიყენება აზერბაიჯანის რესპუბლიკის საანგარიშო პალატის მიერ სომხეთის აუდიტის პალატასთან მიმართებით.

11 ივლისი 2019, თბილისი, საქართველო